



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №13

2012 წლის 2 თებერვალი
ქ. ქობულეთი

პროექტის „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში)” ფარგლებში „თანხის გადაცემის ხელშეკრულებაზე” ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

პროექტის „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში)” დაფინანსების მიზნით **KFW**-ს და საქართველოს (წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროთი) შორის 2011 წლის 18 აგვისტოს ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულების, დაფინანსების ხელშეკრულების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების და დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულების საფუძველზე და ასევე, 2011 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავრობის (წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (წარმოდგენილი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი), თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ევროპის კავშირს (**EU**) შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ყ” ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. უფლება მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნიკო ბერაძეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს პროექტის „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა

III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში)” ფარგლებში გასაფორმებელი თანხის გადაცემის ხელშეკრულებას, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (წარმოდგენილი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი), ქობულეთის მუნიციპალიტეტს და თვითმმართველ ქალაქ ბათუმს შორის (4 ორიგინალი)”.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე